ოქმი:**ო63. 6326098001**
თარიღი:**08/04/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 5

7 აპრილი. 2026 წელი.

მიმდინარე წლის 7 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მანანა სირბილაძე, მარიამ ცომაია, პაატა კოხრეიძე, მაია ტალაბაძე, გოჩა არველაძე, თენგიზ ცაგურია, ლაშა მუქერია, ანა გეგეშიძე.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით, დროებითი შრომისუუნარობის შესახებ.

/ მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (8 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (8 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის

12 აპრილის ჩათვლით, დროებითი შრომისუუნარობის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 56- ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე''-ქვეპუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია დროებითი შრომისუუნარობა, მე-3 პუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება დროებითი შრომისუუნარობის ვადით, ხოლო მე-4 პუნქტის თანხმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ფაქტების შესახებ ინფორმაციას, გარდა მე-2 პუნქტის „ზ"–„ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მუნიციპალიტეტის საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით. მერს უფლებამოსილება უჩერდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.

გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა"–ქვეპუნქტის მიხედვით, მოიწვიოთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაცია მიიღოს ცნობად და გააფორმოს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის დროებითი შრომისუუნარობის გამო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულება დაეკისრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ამირანი თევდორაძეს.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი